ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2610735

ნომერი: AR1406218

თარიღი : 20.05.2016

გაცემის თარიღი : 23.05.2016

გაცნობის თარიღი : 23.05.2016

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ილია ჭავჭავაძის I ჩიხის მიმდებარე ტერიტორია/ ქალაქი თბილისი , ილია ჭავჭავაძის I ჩიხის მიმდებარე ტერიტორია.;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ბესარიონ გოცირიძე პ/ნ 01017005319
- თბილისი გ.ახვლედიანის ქ. N 8

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

გადაწყვეტილება

თქვენი 2016 წლის 20 მაისის #AR1406218 განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენი განაცხადი არასწორად იქნა დარეგისტრირებული ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში ცვლილების შეტანის ველში. ობიექტი

მიღებულია ექსპლუატაციაში. აღნიშნულ საკითხზე მსჯელობისთვის საჭიროა განაცხადი დაარეგისტრიროთ სამსახურის ვებ–გვერდზე (www.tas.ge) ელექტრონული განცხადებების ველში, „სამართლებრივი საკითხები“ არჩევის შემდეგ უნდა მონიშნოთ – „ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ – სამართლებრივ აქტში“, რის შემდეგაც პროგრამა ავტომატურად განგისაზღვრავთ წარმოსადგენი დოკუმენტაციის ნუსხას PDF ფაილის სახით. აღნიშნული დოკუმენტაციის სრულად წარმოდგენის შემდეგ სამსახური იმსჯელებს და მიიღებს შესაბამის გადაწყვეტილებას, რის შესახებაც გეცნობებათ ელექტრონული ფორმით.

დამატებით გაცნობებთ, რომ საპროექტო დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ 7-1 და 7-2 ბინების საზაფხულო ფართობები არ შეესაბამება განმარტებით ბარათში მითითებულ ფართობებს. ასევე, იცვლება საცხოვრებელი ფართობი, რაზეც არ არის განმარტება გაკეთებული, თუ რამ გამოიწვია საცხოვრებელი ფართობის ცვლილებაც. შესაბამისად, დაინტერესებული პირის მიერ ზემოაღნიშნულ ნომენკლატურაში განაცხადის რეგისტრაციის შემთხვევაში, საჭიროა წარმოდგენილ იქნას საცხოვრებელ ფართობთან დაკავშირებით განმარტებითი ბარათი და გასწორებული ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები, რომლებიც შესაბამისობაში იქნება გეგმებზე დატანილ ფართობებთან. ამასთან, საჭიროა მხოლოდ იმ გეგმების წარმოდგენა, რომელზეც ხდება ტექნიკური ხარვეზის გასწორება.

წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის მერთან (მის.: ქ. თბილისი, შარტავას ქუჩა #7), კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.